

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სტუ-ის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „ტალღას“, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

2. აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის №1488 დადგენილების საფუძველზე სამთო-მეტალურგიული სამეცნიერო-საწარმოო ცენტრს პროექტისათვის „სილიკონ-მანგანუმის მიღების ახალი ტექნოლოგია“ ადმინისტრაციის ხარჯებიდან გამოეყო ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, 12 000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის მუხლიდან: 9 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 2 000 ლარი – სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში; მივლინებისათვის მოთხოვნილი 1 000 ლარის ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს ადმინისტრაციის ხარჯებიდან. სულ ჯამში 12 000 ლარი;

3. სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის 2015 წლის 17 აპრილის სხდომის №14 ოქმის მიხედვით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სტუ-ის საკალათბურთო გუნდის, ქ. მოსკოვში საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის ფინალურ მატჩში მონაწილეობის მიზნით, ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ. ასევე, სტუ-ის ლიტვური ცენტრის სტუდენტების ლიტვაში გამგზავრების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივლინების ხარჯებიდან 20 000 ლარი, ხოლო ოფისის ხარჯების კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მუხლიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში;

4. სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის, არაფინანსური აქტივების მუხლის ელ.მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოებისა და ავეჯის შეძენის პუნქტიდან 2 300 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების მუხლის ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის პუნქტში;

5. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტში №3-102/13 (ხელმძღვანელი ო. ლანჩავა) განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ: საქონელი და მომსახურების მუხლის ოფისის ხარჯების კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების პუნქტი შემცირდეს 6 770 ლარით, საიდანაც 4 400 ლარით გაიზარდოს არაფინანსური აქტივები; ხოლო დარჩენილი 2 370 ლარი გადანაწილდეს შემდეგნაირად: საკანცელარიო ხარჯებში გადატანილ იქნეს 420 ლარი; ნორმატიული აქტების საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და ამავე მიზნებთან დაკავშირებულ საგამომცემლო-სასტამბო ხარჯებში – 600 ლარი; ხოლო მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის ხარჯებში – 1 350 ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები: კომპიუტერული ტექნიკის შეძენის პუნქტი შემცირდეს 2 800 ლარით; ელ. მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო, ოპტიკური ხელსაწყოებისა და ავეჯის შეძენის პუნქტში გადატანილ იქნეს 3 000 ლარი; ხოლო არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის პუნქტში – 4 200 ლარი;

6. ევროგრანტში №609531 (ხელმძღვანელი ზ. გასიტაშვილი) განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ: სხვა დანარჩენი საქონელი მომსახურების მუხლის სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯების პუნქტიდან 2 227 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში;

7. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის №1455 დადგენილებით გადაწყდა, სტუ-ის ყოფილი პროფესორისა და ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწის, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მემორიალის შექმნისათვის მის მემკვიდრეს გაეწიოს ფინანსური დახმარება, რისთვისაც გამოყოფილ იქნეს 12 500 ლარი სტუ-ის ადმინისტრაციის ხარჯებიდან.

მემორიალის დასრულების შემდგომ, ფაკულტეტის მენეჯერს, ბატონ ო. შონიას დაევალოს წარადგინოს ანგარიში აკადემიური საბჭოსა და სენატის სხდომაზე შესაბამისი ფოტომასალით უნივერსიტეტის არქივისათვის;

11. სტუ-ის სამეცნიერო საბჭომ მოიწონა საკითხი სტუ-ის ელექტროენერგიაზე ხარჯების ეკონომიის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და დანერგვის სამეცნიერო პროექტის დაფინანსების შესახებ 60 000 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

აღნიშნული პროექტის დაფინანსება განხორციელდეს სტუ-ის ადმინისტრაციის ხარჯებიდან, კერძოდ: 35 000 ლარი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან, ხოლო 25 000 ლარი ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილებები წარმოდგენილი სახით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

1. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში შეიქმნას ელექტრონული ტექნოლოგიების მართვის ჯგუფი; მთავარი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული გადაკეთდეს ჯგუფის უფროსის 1 საშტატო ერთეულად ხელფასით, 800 ლარი თვეში; ხოლო დირექტორის მოადგილის ყოველთვიური სარგო განისაზღვროს 900 ლარით, ნაცვლად 700 ლარისა;

2. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №1479 დადგენილების საფუძველზე, რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში ეწოდოს „ვიცე-რექტორი“ და მისი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 3980 ლარით, ნაცვლად 2700 ლარისა; სტუ-ის აკადემიური საბჭოს იმავე დადგენილებით, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 3980 ლარით, ნაცვლად 2700 ლარისა;

შესაბამისად, სენატის 2015 წლის 6 აპრილის №78 სხდომის მე-4 დადგენილების საფუძველზე, ასევე ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში თანამდებობრივი სარგოს მუხლი გაიზარდოს 59 490 ლარით.

3. სტუ-ის სენატის სამდივნოს დაემატოს მთავარი სპეციალისტის (იურისტი) 1 საშტატო ერთეული და ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 550 ლარით თვეში. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში თანამდებობრივი სარგოს მუხლი გაიზარდოს 4 400 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის ხარჯებიდან 9 000 ლარი, საოფისე ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებიდან 15 000 ლარი, კადრების მომზადება-გადამზადების ხარჯებიდან 8 000 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯიდან 31 890 ლარი, სულ ჯამში 63 890 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის გასაიჯარებელი ფართობის შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, იჯარით გასცეს სტუ-ის III-IV სასწავლო კორპუსის სარდაფ სართულზე 251.8 მ² და 256.03 მ² ფართობები 5 წლის ვადით, კანონით დადგენილი წესით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომაზე სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე ორი დეპარტამენტის შექმნის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №1494.

სენატმა დაადგინა: შეიქმნას სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე ორი დეპარტამენტი, კერძოდ ქიმიის დეპარტამენტი და გარემოს დაცვის ინჟინერიისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომაზე პროფ. თემურ ჯაგოდნიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ქართველოლოგიის საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო კვლევების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის დადგენილება №1452.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ქართველოლოგიის საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო კვლევების ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოვიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „კრიმინალისტიკის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №1489.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „კრიმინალისტიკის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომაზე პროფ. ზაალ აზმაიფარაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი და სადიაგნოსტიკო ცენტრ „ექსპერტის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №1490.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი და სადიაგნოსტიკო ცენტრ „ექსპერტის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 28 აპრილის =79 სხდომაზე პროფ. თეიმურაზ კუნჭულიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების და სწავლების ცენტრის - შრომისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოებაში“ დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №1496.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების და სწავლების ცენტრის - შრომისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოებაში“ დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე